ჩ3

ხელშეკრულება N138

ქ.ხაშური 24 ოქტომბერი 2016 წელი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბოლოკაძის სახით, მეორე მხრივ შპს საარი, წარმოდგენილი დირექტორის ლევან თითმერიას სახით (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხაშურელი პოეტის ალეკო (ალექსანდრე) ღონღაძის წიგნის ბეჭდვის მომსახურება CPV:79810000

N	შესრულებული სამუშაოს დასახელება	ცალი	ერთეულის ფასი	თანხა
1	ალეკო ღონღაძის წიგნი (80 გვერდი, ფერადი ჩანართებით, რბილი ყდით)	500	1.70 ლარი	850 ლარი
				ჯამი: 850 ლარი

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4 მიღება-ჩაბარების წესი

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე.

4.3 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია თბილისი

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 10 ნოემბერი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.1%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 18 დეკემბერი.

შემსყიდველი ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება	მიმწოდებელი შპს საარი
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი	თბილისი, თევდორე მღვდლის 57
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070	სადენტიფიკაციო ნომერი:202164157
ბანკის კოდიTRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	ბანკის კოდი MIBGGE22 ა/ა GE28PC0133600100036391
გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე	დირექტორი ლევან თითმერია